

თამაზ გამყრელიძე  
გივი მაჭავარიანი

ს ო ნ ა ნ ზ თ ა

ს ი ს ზ ე მ ა

ღ ა

ე ბ ლ ა უ ზ ი

ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ

ე ნ ე ბ უ ი

„მეცნიერება“

1965

ადმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

მ. გამყარელიძე, გ. მაჭავარიანი

სონანვთა სისვება  
და  
უბრაუვი ქართველურ ენებში

საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია

გ. წერეთლის რედაქციითა და წინასიტყვაობით

# უ ნ ნ ა ა რ ს ი

ხონანტებისა და აბლაუტის თეორიის გამო ქართველურ ენებში (გ. წერეთელი) . . . . .	09
შემოკლებანი . . . . .	053
პირობით ნიშანთა და სიმბოლოთა განმარტება . . . . .	056
შესავალი . . . . .	1

## ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

### სონანტთა სისხმვა ძაბთველურ ენებში

#### თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი . /ჟ/ და /ა/ ფონემები ქართველურ ენებში

1. სონანტთა ადგილი ენის ფონოლოგიურ სისტემაში . . . . .	21
2. [ჟ] და [უ] ბგერათა ურთიერთობა სვანურში . . . . .	25
3. /უ/ და /ჟ/ ფონემათა მიმართების დიაქრონიული ანალიზი . . . . .	32
4. [ვ], [ჟ] და [უ] ბგერების ურთიერთობა ძველ ქართულში . . . . .	38
5. /ვ/ : /ჟ/ დაპირისპირების დიაქრონიული ანალიზი . . . . .	41
6. [ვ/ჟ] და [უ] ბგერათა ურთიერთმიმართება ძველ ქართულში . . . . .	46
7. [ვ] და [უ] ბგერათა ურთიერთმიმართება მეგრულ-ქანურში . . . . .	53
8. /*ჟ/ ფონემა საერთო-ქართველურში . . . . .	62
9. [ი] და [ა] ბგერათა ურთიერთობა სვანურში . . . . .	64
10. [ი] და [ა] სემანტთა ურთიერთობა ძველ ქართულში . . . . .	67
11. [ა] და [ი] მეგრულ-ქანურში . . . . .	69
12. /*ა/ ფონემა საერთო-ქართველურში . . . . .	71

#### თ ა ვ ი მ ე ო რ ე . /ლ რ მ ნ/ ფონემები ქართველურ ენებში

1. სონორ თანხმოვანთა შესატყვისობა ქართველურ ენებში . . . . .	73
2. ქართ. /ლ/ ფონემის შესატყვისები მეგრულ-ქანურსა და სვანურში . . . . .	74
3. ბოლოკიდური *რ ელემენტის რეფლექსები . . . . .	83
4. ჯოლორ- ტიპის სრულხმოვანი ფორმების წარმოქმნა მეგრულ-ქანურში . . . . .	85
5. უმარცვლო [*ლ *რ] ელემენტები ბოლოკიდურ პოზიციაში . . . . .	88
6. მარცვლოვანი [*ღ *წ *ჭ *წ] ელემენტები პოზიციაში თანხმოვნებს შორის . . . . .	94
7. მარცვლოვანი [*ღ *წ] ელემენტების კვალი ქართულში . . . . .	100
8. C—C პოზიციაში წარმოდგენილი მარცვლოვანი [*ღ *წ *წ] ელემენტები საერთო-ქართველურში . . . . .	105
9. მარცვლოვანი და უმარცვლო ელემენტები პოზიციაში თანხმოვანსა და ხმოვანს შორის . . . . .	105
10. მარცვლოვანი ელემენტები ანლაუტში თანხმოვნის წინ . . . . .	123
11. უმარცვლო [რ ლ მ ნ] ელემენტები . . . . .	128
12. თავკიდური [ლ] ელემენტი სვანურში . . . . .	130
13. /*ჟ *ა *რ *ლ *მ *ნ/ სონანტები საერთო-ქართველურში . . . . .	140

**თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე . ხ მ ო ვ ა ნ თ ა ს ი ს ტ ე მ ა ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ე ნ ე ბ შ ი**

1. ხმოვანთა შესატყვისობანი ქართველურ ენებში . . . . .	145
2. ხმოვანთა შესატყვისობის დიაქრონიული ინტერპრეტაცია . . . . .	147
3. ხმოვანთა კომბინატორული ცვლილებები ქართველურ ენებში . . . . .	151
I. ხმოვანთა ცვლილებები სვანურში . . . . .	151
II. ხმოვანთა ცვლილებები ზანურ დიალექტებში . . . . .	157
უმლაუტი ზანურში . . . . .	160
4. ხმოვანთა სისტემა საერთო-ქართველურში . . . . .	171

**ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე**

**ა ბ ლ ა უ ტ ი ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ე ნ ე ბ შ ი**

**თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი . ა ბ ლ ა უ ტ ი ზ მ ნ ის ს ი ს ტ ე მ ა შ ი**

1. აბლაუტის ფუნქციონალური რაობა . . . . .	175
2. აბლაუტი ორმორფემიან ზმნურ ფუძეებში ძველ ქართულში . . . . .	179
3. აბლაუტი მეგრულ-ჭანური ფუძედრეკადი ზმნის სისტემაში . . . . .	187
4. ორმორფემიან ზმნურ ფუძეთა გამარტივების შემთხვევები ქართველურ დიალექტებში . . . . .	194
5. აბლაუტი ცალმორფემიან ზმნურ ფუძეებში ძველ ქართულში . . . . .	204
6. ცალმორფემიან ფუძედრეკად ზმნათა სისტემა სვანურში . . . . .	207
7. ცალმორფემიანი გარდაუვალი ზმნის სისტემა მეგრულ-ჭანურში . . . . .	214
8. თემატური აწმყოსა და ათემატური აორისტის მქონე ზმნები ქართულში . . . . .	225
9. თემატური აწმყოსა და ათემატური აორისტის მქონე ზმნები სვანურსა და მეგრულ-ჭანურში . . . . .	230
10. თემატური აწმყოსა და თემატური აორისტის მქონე ზმნები . . . . .	239
11. გრძელხმოვნიანი აორისტის მქონე ზმნები . . . . .	240
12. აორისტის წარმოების ძირითადი სტრუქტურული ტიპები საერთო-ქართველურში . . . . .	262
13. ნამყო უწყვეტელი ქართველურ ენებში . . . . .	273
14. კაუზატივი ქართველურ ენებში . . . . .	276

**თ ა ვ ი მ ე ო რ ე . ა ბ ლ ა უ ტ ი სა ხ ე ლ ის ს ი ს ტ ე მ ა შ ი**

1. აბლაუტური ხმოვანთმონაცვლეობა სახელურ ფუძეებში . . . . .	279
2. მორფემათა სტრუქტურა და მათი შეერთების წესები საერთო-ქართველურში . . . . .	303
3. საერთო-ქართველური ფონო-მორფოლოგიური სისტემის ტრანსფორმაცია და ისტორიულ ქართველურ ენათა ჩამოყალიბება . . . . .	325
4. ქართველური და ინდოევროპული . . . . .	365

**ს ი ბ ჯ ვ ა თ ა ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი**

ქართული . . . . .	475
სვანური . . . . .	491
მეგრულ-ჭანური . . . . .	499

## СО Д Е Р Ж А Н И Е

О теории сонантов и аблаута в картвельских языках (Г. В. Церетели) . . . . .	031
Сокращения . . . . .	053
Введение . . . . .	388

### *Часть I*

#### Система сонантов в картвельских языках

1. Фонемы /w/ и /j/ в картвельских языках . . . . .	388
2. Фонемы /l r m n/ в картвельских языках . . . . .	400
3. Система гласных в картвельских языках . . . . .	416

### *Часть II*

#### Аблаут в картвельских языках

1. Аблаут в системе глагола . . . . .	429
2. Аблаут в системе имени . . . . .	450
Структура морфем и правила их синтагматической сочетаемости в обще- картвельском . . . . .	452
3. Трансформация общекартвельской морфонологической системы . . . . .	459
Картвельский и индоевропейский . . . . .	467

#### Указатель словоформ

Грузинский . . . . .	488
Сванский . . . . .	498
Мегрело-Чанский . . . . .	508

# სონანტებისა და აბლაუტის თეორიის გამო

## პართველურ ენებში

წინამდებარე ნაშრომი თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანისა „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“ არის შედარებით-ისტორიული ნარკვევი ქართველურ ენათა შესახებ, დაწერილი ენის ანალიზის სტრუქტურული მეთოდების გამოყენებით. შრომა ძირითადად ეხება ქართველურ ენების სონანტთა სისტემისა და აბლაუტის საკითხებს, მაგრამ არსებითად მასში განხილულია ამ ენათა თითქმის მთელი სტრუქტურა, დაწყებული ფონემური შემადგენლობით და გათავებული მორფემათა აგებულებით. იმისათვის, რომ ავტორებს სონანტთა სისტემისა და აბლაუტის საკითხები დაემუშავებინათ, საჭირო იყო დეტალური ანალიზის ჩატარება ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონეზე, ვინაიდან მათი ერთმანეთთან კავშირში შესწავლის გარეშე არ შეიძლება ლინგვისტური კვლევა-ძიების შედეგი ნაყოფიერი იქნეს.

ანალიზი ენობრივი სტრუქტურის რომელიმე მაღალ დონეზე გულისხმობს უფრო დაბალი რიგის მოვლენების გათვალისწინებას. არ შეიძლება მორფოლოგიური სტრუქტურების კვლევა, თუ ანგარიში არ ეწევა ენის ფონოლოგიურ მონაცემებს<sup>1</sup>. მეორე მხრით, როგორც სამართლიანად აღნიშნავს É. Benveniste-ი, შეუძლებელია განსაზღვრა საკუთრივ ფონემის დისტრიბუციისა, მის კომბინატორულ, სინტაგმატურ და პარადიგმატულ მოცულობათა, ე. ი. ფონემის თვით რეალობისა, თუ მხედველობაში არ გვექნება უფრო მაღალი დონის ერთეულებიც, რომელთა შემადგენლობაში ეს ფონემა შედის, რადგან ერთეული იმდენადაა განმასხვავებელი, რამდენადაც იგი შეიძლება იდენტიფიცირებულ იქნეს ვითარცა უფრო მაღალი დონის შემადგენელი ელემენტი, რომლის ინტეგრანტის წარმოადგენს<sup>2</sup>. მით უმეტეს მხედველობაშია მისაღები ეს გარემოება,

<sup>1</sup> H. A. Gleason, An Introduction to Descriptive Linguistics, New York, 1956, 6.2, p. 66 შმდ.

<sup>2</sup> É. Benveniste-ის მოხსენება ლინგვისტთა IX საერთაშორისო კონგრესზე.

É. Benveniste-ის ამ სტატიის შესახებ იხ. Б. А. Серебренников, *Об основных докладах на IX Международном лингвистическом конгрессе. Вопросы Языкознания*, 1, 1963, გვ. 153 შმდ.; შდრ. აგრეთვე Э. А. Макаев, *Понятие давления системы и иерархия языковых единиц*. ВЯ, 5, 1962, გვ. 47 შმდ.

როდესაც საქმე ეხება ენის სტრუქტურის დიაქრონიულ ანალიზს ფონოლოგიური და მორფოლოგიური მოდელების რეკონსტრუქციის მიზნით<sup>1</sup>.

დიაქრონიული ენათმეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია შედარებითი მეთოდისა და შინაგანი რეკონსტრუქციის საშუალებით დადგენა ენობრივ ცვლილებათა შეფარდებითი ქრონოლოგიისა, რათა გავითვალისწინოთ ენის განვითარების საფეხურები იმ ეპოქისათვის, საიდანაც ჩვენამდე წერილობით ფიქსირებულ მასალას არ მოუღწევია<sup>2</sup>. მაგრამ ამ მიზნის მიღწევა ძნელად განსახორციელებელი ამოცანა იქნება, თუ შედარებითი ანალიზის შედეგად არ გაირკვა მონათესავე ენათა ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და სხვ. სტრუქტურათა კანონზომიერი მიმართებანი.

ამიტომ ინდოევროპული ენათმეცნიერება იმდენად იყო გატაცებული შესატყვისობათა საკითხებით, რომ É. Benveniste-ი თავის ცნობილ გამოკვლევას ინდოევროპულ სახელთწარმოების წარმოშობის შესახებ ერთგვარი საყვედურიტაც კი იწყებს: «სამოცი წლის მანძილზე შედარებითი გრამატიკის ძირითადი საგანი იყო შესატყვისობათა დადგენა ინდოევროპულ ენათა შორის და, გამომდინარე იმ მდგომარეობიდან, რომელსაც ეს შესატყვისობანი განსაზღვრავდნენ,—ახსნა იმისა, თუ როგორ ვითარდებოდნენ ჩვენთვის ცნობილი დიალექტები»<sup>3</sup>.

თუ ინდოევროპულ ენათმეცნიერებას იმას უსაყვედურებენ, რომ იგი შესატყვისობათა კვლევის ფარგლებს ნაკლებ სცილდებოდა, ქართველურ ენათმეცნიერებას ვერ დავაბრალებთ, რომ იგი გადაჭარბებულ ყურადღებას იჩენდა შესატყვისობათა მიმართ.

მართალია, უკანასკნელ ხანებში ქართველურმა ენათმეცნიერებამ ამ მხრივ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, მაგრამ ჯერ-ჯერობით კვლავ ისეთი მდგომარეობა გვაქვს, რომ ვ. თოფურიას შესაძლებლად მიაჩნია განაცხადოს: «არამც თუ რეკონსტრუქციის საკითხებია საპაექრო, არამედ თვით ბგერათა რეფლექსები და მით გამოწვეული შესატყვისობათა

<sup>1</sup> თუ რა შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამ დებულების უგულვებელყოფამ, ამის თვალსაჩინო მაგალითს იძლევა ისეთ შესატყვისობათა შესწავლის ისტორია, როგორიცაა ქართ. ც ა ც ხ ი, ლ ა ზ. დ უ ც ხ უ; ქართ. ც ე ც ხ ლ - ი, მეგრ.-ლ ა ზ. და ჩ ხ ი რ - ი/დაჩხურ-ი; ქართ. ს ი ს ხ ლ - ი, ლ ა ზ. დ ი ც ხ ი რ - ი და სხვ. ის, რაც არ ნ. ჩ ი ქ ი ბ ა ვ ა ს გრამატიკული კლასის მაწარმოებელ ფორმანტად მიაჩნდა, როგორც ამას წინათ ტ. გ უ და ვ ა მ მეტად დამარწმუნებლად წარმოაჩინა [იხ. ტ. გ უ და ვ ა. რეგრესული დეზაფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა ზანურში (მეგრულ-ქანურში). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXXIII, 2, 1964, გვ. 497 შმდ.], აღმოჩნდა უბრალო დისიმილაციის შედეგად მიღებული თანხმოვანი.

<sup>2</sup> უკანასკნელ დროს ამ საკითხების შესახებ იხ. Henry M. Hoenigswald, *Language Change and Linguistic Reconstruction*, Chicago, 1960; Winfred P. Lehmann, *Historical Linguistics*, New York, 1962 და განსაკუთრებით Jerzy Kuryłowicz, *O tak zwanej wewnętrznej rekonstrukcji. Sprawozdania z Prac Naukowych Wydziału Nauk Społecznych*, 1962, z. 3, გვ. 19-41. აგრეთვე ვ. მ. შ ი რ მ უ ნ ს კ ი ს შრომა *Введение в сравнительно-историческое изучение германских языков*, Москва—Ленинград, 1964, გვ. 3 შმდ.

<sup>3</sup> É. Benveniste, *Origines de la formation des noms en indo-européen*, Paris, 1935, გვ. 1; რუს. თარგმანი, მოსკოვი, 1955, გვ. 25.

გადახვევები ჯერ კიდევ გაურკვეველია და ზოგ შემთხვევაში ეკვივალენტთა დაზუსტება და დადგენაც კი საჭიროა<sup>1</sup>. «ამდენად,—ავტორის აზრით,—რეკონსტრუქცია, იქნება იგი წინარექართველური ფუძემდებლის ფონემური შემადგენლობისა თუ გრამატიკული წყობისა, ნაადრევად უნდა ჩაითვალოს»<sup>1</sup>.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა გვექონდა სულ ბოლო დრომდე სიბილანტთა და აფრიკატთა შესატყვისობის საკითხში.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული იყო მცდარი შეხედულება, თითქოს ისეთი კანონზომიერი მიმართებანი, რომელნიც ფონეტიკური მხრივ ცოტად თუ ბევრად „იდენტურ“ ერთეულებშია გამოხატული (მაგ. /ს/:/ს/, /ზ/:/ზ/, /ც/:/ც/, /წ/:/წ/, /კ/:/კ/, /ქ/:/ქ/, /ფ/:/ფ/, /მ/:/მ/, /ნ/:/ნ/ და სხვ.), შესატყვისობა არ არის, იმ საბუთით, რომ „იდენტური“<sup>2</sup>, შესატყვისობად ვერ ჩაითვლება, რომ ეს მხოლოდ „გაუდიფერენცირებელი მასალაა“<sup>3</sup> და რომ „ამ შემთხვევებში ჩვენ გვაქვს დამთხვევა და არა შესატყვისობა“<sup>4</sup>.

ამ მტკიცებას რომ დავუჯეროთ, მაშინ უნდა უარვყოთ სქემა

$$/*A/ > |A|^{\text{p}}$$

ე. ი. ინდოევროპული ხშულებისათვის დადგენილი ისეთი შესატყვისობანი, როგორცაა პროტო-ინდოევროპული /\*p/, /\*t/, /\*k/, /\*b/, /\*d/, /\*g/: ბერძნ. /p/, /t/, /k/, /b/, /d/, /g/; ლათ. /p/, /t/, /k/, /b/, /d/, /g/ (მაგ. ბერძნ. patēr, ლათ. pater; ბერძნ. treis, ლათ. trēs; ბერძნ. he-katón, ლათ. centum; ბერძნ. beltí'on, ლათ. dē-bilis; ბერძნ. déka, ლათ. decem; ბერძნ. génos, ლათ. genus)<sup>6</sup> შესატყვისობად ვერ ჩაითვლება. ასეთი თვალსაზრისი კი მიგვიყვანდა

<sup>1</sup> ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა., ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XII, 1960, გვ. 149-150.

<sup>2</sup> აქ გათვალისწინებული არაა, რომ ყოველი ფონემა, როგორც გარკვეული ენის ფონოლოგიური სისტემის წევრი, იდენტურია მხოლოდ თავის თავთან, დამოუკიდებლად იმისა, ახასიათებს თუ არა მას ფონეტიკურად სხვა ენის სათანადო ფონემასთან მსგავსება ან იდენტურობა. ამის შესახებ იხ. H. A. Gleason, op. cit., 1955, გვ. 159, 239 შმდ.; რუსული თარგმანი, მოსკოვი, 1959, გვ. 229, 323 შმდ.

<sup>3</sup> ასე, მაგ., არ ნ. ჩიქობავა ალ. ცაგარელს ნაკლად უთვლის, რომ შესატყვისობათა დადგენისას იგი აღნიშნავს არა მარტო „დიფერენცირებულ“ ერთეულებს, არამედ იმასაც, რაც „გაუდიფერენცირებელ“ მასალაშია მოცემული. თვით არ ნ. ჩიქობავას ცხრილებში ასეთი შესატყვისობანი, რა თქმა უნდა, ამოღებულია.

<sup>4</sup> ზოგჯერ საქმე კიდევ უფრო შორს მიდის. ზოგიერთ ავტორთან ასეთ მტკიცებასაც კი ვხვდებით: «ერთადერთი შემთხვევა, სადაც მარტივ წინაენის ხშულებში შეინიშნება გარკვეული კანონზომიერება, ესაა ქართ. თ (თხილი); ზან. თ თხირი; სვან. შდ შდის („თხილი“). გამოდის, რომ კანონზომიერებად გაგებულია მხოლოდ ფონეტიკურად განსხვავებულ ბგერათა მიმართებანი.

<sup>5</sup> მთავრული კურსივით აღნიშნულია ორ მონათესავე ენაში წარმოდგენილი ფონეტიკურად ცოტად თუ მეტად „იდენტური“ შესატყვისი საბოლოო მოდელები (შდრ. H. Penz I, The Evidence for Phonemic Changes. Joshua Whatmough, On his Sixtieth Birthday, 1957, 's-Gravenhage, p. 195 შმდ.).

<sup>6</sup> შდრ. W. P. Lehmann, ხს. ნაშრ., გვ. 85-86.



მონათესავე ენათა შორის ფონოლოგიურ შეფარდებათა რეგულარობის უარყოფამდე, რაც არსებითად ნიშნავს იმ პრინციპების უარყოფას, რომლებზედაც შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერება არის დაფუძნებული.

პრობლემისადმი ასეთი მიდგომის გამო, ბუნებრივია, ყოველგვარი ცდა, დაედგინათ ქართველურ ენათა ფონემების შესატყვისობანი, ამოაღმოჩნდა. შედეგად მივიღეთ მრავალფეროვანი სურათი, რომლის მიხედვითაც ერთი და იგივე ქართული ფონემა უახლოეს მონათესავე ენებში ერთსა და იმავე პირობებში ხან ერთ ფონემას შეესატყვისება, ხან მეორეს, ხან მესამესა და ხან მეოთხეს.

იმისათვის, რომ ეს არათანმიმდევრობანი როგორმე აეხსნათ, შეიქმნა კონცეფცია, თითქოს ბგერათშესატყვისობანი იბერიულ-კავკასიურ ენებში რალაც განსხვავებულ პრინციპებს ექვემდებარება და რომ საჭიროა ამის მიხედვით „დაზუსტდეს შედარებით-ისტორიული ანალიზის მეთოდიკა“.

მონათესავე ენების ფონემათა კანონზომიერი მიმართებანი დიაქრონიულ უნივერსალიებს ეკუთვნიან და გამოიხატებიან ფორმულით „(x) x ∈ L ⊃ ...“<sup>1</sup> ე. ი. „ყველა x-ისათვის, თუ x არის ენა, მაშინ...“ (მისთვის დამახასიათებელია კანონზომიერი მიმართება მონათესავე ენასთან). უნივერსალიათა კატეგორიას ეკუთვნის დებულება, რომ „ყველა ენა იცვლება“, მაგრამ სავალდებულო არ არის ყველაფერი „იცვლებოდეს“ ენაში. პირიქით, როგორც წესი, ცვლილებანი ფონოლოგიური სისტემის მხოლოდ ერთ ნაწილზე ვრცელდება, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი „უცვლელი“<sup>2</sup> რჩება.

ცვლილებათა სახეობანი მრავალრიცხოვანია არა მარტო ენათა სხვადასხვა ტიპებში, არამედ თვით ერთი ენის ფარგლებშიც, მაგრამ „შეცვლილიც“ („გადიფერენცირებული“) და „უცვლელიც“ („გაუდიფერენცირებელი“) თანაბრად კანონზომიერ მიმართებაში იმყოფებიან წინაპარ ენასთან, — მაშასადამე, ერთმანეთის მიმართაც, თუ საქმე ეხება საერთო წყაროდან მომდინარე მასალას და არა ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური ფაქტორებით გამოწვეულ ინოვაციებს.

ამიტომ სავსებით სამართლიანად აღნიშნა É. Benveniste-მა<sup>3</sup>, რომ ფონეტიკურ შესატყვისობათა რეგულარობა და შესაძლებლობა წინას-

<sup>1</sup> იხ. Joseph H. Greenberg, Charles Osgood, James Jenkins, Memorandum Concerning Language Universals. Universals of Language, ed. by Joseph H. Greenberg, Cambridge, Massachusetts, 1963, p. 258.

<sup>2</sup> „უცვლელი“ როგორც სემანტი. ისე კი, რამდენადაც საქმე „ახალ“ ენასთან გვაქვს, ყოველი ფონემა ამ ენის ფონოლოგიური სისტემის წევრია და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იდენტურია მხოლოდ თავის თავთან. ამდენად როგორც ფონემა — განსხვავებულია მეორე ენის ფონემისაგან, თუნდაც რომ „ანალოგიური“ ან „იდენტური“ განმასხვავებელი ნიშანი ახასიათებდეს. მეორე მხრით, თუ ერთი ენის სხვადასხვა საფეხურს ან სხვადასხვა ფენას ავიღებთ, „იმავე“ ენის ფარგლებში ვნახავთ არა მარტო „უცვლელ“ მასალას, არამედ „შეცვლილსაც“. ეს საკითხები დეტალურად და კარგად არის განხილული Henry M. Hoenigswald-ის ცნობილ შრომაში *Language Change and Linguistic Reconstruction*, Chicago, 1960; იხ. მისივე: *Are There Universals of Linguistic Change? Universals of Language*, p. 23 შმდ.; აგრეთვე Winfred P. Lehmann, op. cit.

<sup>3</sup> É. Benveniste, *La classification des langues*. Conférences de l'Institut de Linguistique de l'Université de Paris, XI, années 1952-1953, Paris 1954; რუსულად

წარგანჭვრეტილ იქნეს გარკვეული ოდენობით ფონეტიკური განვითარების პროცესი, არ შემოიფარგლება ენის რომელიმე გარკვეული ტიპით ან რომელიმე განსაზღვრული მხრით; ამიტომ არ არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ „ეგზოტიკური“ ან „პრიმიტიული“ ენები მოითხოვენ შედარების სხვა პრინციპებს, ვიდრე ინდოევროპული და სემიტური ენები<sup>1</sup>.

ამგვარად, პრერელატივისტური წარმოდგენები შესატყვისობათა შესახებ ქმნიდნენ შთაბეჭდილებას, თითქოს ბგერათა შესატყვისობანი ქართველურ და კავკასიურ ენებში ექვემდებარებიან ინდოევროპული და სემიტური ენებისაგან რაღაც განსხვავებულ პრინციპებს, მაგრამ როდესაც ამ ენათა მიმართ სათანადოდ იქნა გამოყენებული შედარებითი ანალიზისა და შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდი, სულ სხვა სურათი გადაიშალა.

ამ წიგნის ავტორების, აგრეთვე მთელი რიგი სხვა მკვლევარების მიერ წლების მანძილზე წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად არამც თუ გაირკვა. რომ ბგერათა შესატყვისობების მხრივ ქართველურ ენებსაც იგივე პრინციპები ახასიათებს, რაც სხვა ენებისათვის იყო ცნობილი, არამედ აღმოჩნდა, რომ იშვიათად თუ არსებობს სადმე ისე ჩამოყალიბებული კანონზომიერება შესატყვისობებში, როგორც აქ გვხვდება<sup>2</sup>.

1959 წელს თ. გამყრელიძემ გამოაქვეყნა გამოკვლევა<sup>3</sup>, რომელშიაც განხილულია ქართული სიბილანტებისა და აფრიკატების ინვერსიული ასახვის ფაქტები სვანურსა და მეგრულ-ლაზურში, აგრეთვე ქართული /შ/ ფონემის არაცალსახა შესატყვისობის შემთხვევები, და დისტრიბუციული ანალიზის შედეგად დადგენილია ფონეტიკური კანონზომიერებანი, შეპირობებული კომბინატორული ხასიათის ფაქტორებით. ამგვარად ნაწილობრივ მოხსნილ იქნა საკითხი შესატყვისობის მოჩვენებითი არათანმიმდევრობისა ქართველურ ენათა ფონოლოგიური სისტემის ერთ ნაწილში.

თითქმის ამის პარალელურად გ. მაჭავარიანი<sup>4</sup> თავის გამოკვლევაში ქართველურ ენათა კონსონანტიზმის შესახებ მეტად დამაჯერებლად

თარგმანი: Новое в лингвистике. Москва, 1963; იხ. აგრეთვე L. Bloomfield, „Language“, I, p. 30, IV, p. 99; მისივე Language, pp. 359-360.

<sup>1</sup> დაყოფა ჩვენია (გ. წ.).

<sup>2</sup> ეს მაგალითი კარგად გვიჩვენებს, თუ რა სიფრთხილე საჭირო კანონზომიერ მიმართებათა „კვლევის მეთოდიკის დაზუსტების“ ცდებისას განსხვავებული ტიპის ენების მონაცემთა საფუძველზე.

<sup>3</sup> თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი. თბილისი, 1959.

<sup>4</sup> Г. И. Мачавариани, О трех рядах сибиллянтных спирантов и аффрикат в картвельских языках. XXV Международный конгресс востоковедов. Доклады делегации СССР, Москва, 1960; [გ. მაჭავარიანის ამ შრომას მეტად მაღალი შეფასება მისცა გამოჩენილმა ნორვეგიელმა ენათმეცნიერმა და ქართველურ ენათა მკვლევარმა H. Vogt-მა. იხ. მისი Contributions à la reconstruction du phonétisme du Kartvélien commun, RK, v. XV—XVI, Paris XV—XVI, 1963, p. 33. (რეცენზია K. H. Schmidt-ის ქვემოთდასახელებულ შრომაზე); მისივე რეცენზია V. Polák-ის შრომაზე (იხ. აქვე, გვ., 014 წმწმწ. 2), ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბილისი, 1961, გვ. 256, აგრეთვე წმწმწ. 11; ამეშადად იბეჭდება ავტორის ვრცელი მონოგრაფია ამ თემაზე.

დასაბუთა ადრე ა. შანიძის, გ. კლიმოვის<sup>1</sup>, V. Polák-ისა<sup>2</sup> და სხვ. მიერ გამოთქმული მოსაზრება ქართველურ ენათა სისინა სიბილანტებისა და აფრიკატების კანონზომიერ მიმართებათა შესახებ<sup>3</sup> და ამის საფუძველზე აღადგინა პროტოქართველური ფონოლოგიური სისტემისათვის სიბილანტებისა და აფრიკატების სამი რიგი.

მხოლოდ ამ წინასწარი კვლევის შედეგად გახდა ავტორებისათვის შესაძლებელი შეხებოდნენ სონანტთა სისტემასა და აბლაუტის პრობლემას ქართველურ ენებში.

სონანტთა სისტემის დადგენამ ინდოევროპულში თავის დროზე დიდი როლი ითამაშა დიაქრონიული ენათმეცნიერების განვითარებაში. მთელი კვლევა-ძიება ისტორიულ-შედარებითს ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში მნიშვნელოვან ნაწილში ემყარება თეორიას სონანტთა სისტემისა და აბლაუტის შესახებ<sup>4</sup>.

ქართველურ ენათმეცნიერებაში სონანტთა სისტემის საკითხი სულ ბოლო დრომდე არ დასმულა.

მართალია, ცალკეული ავტორების მიერ აღნიშნული იყო ფაქტი „სონანტი“ ზ, ლ, მ, ნ ელემენტების არსებობისა<sup>5</sup>, მაგრამ ეს ელემენტები არ იყო განხილული როგორც სონანტთა სისტემის ფონემური ერთეულები.

თვალსაზრისი სონანტთა სისტემისა და აბლაუტის შესახებ საერთო-ქართველურში პირველად ჩამოყალიბებული იყო თ. გამყრელიძის მიერ 1959 წელს სიბილანტებისა და აფრიკატების შესატყვისობათა საკითხის შესწავლისას. ამ დროიდან მოყოლებული ეს თეორია მუშავდებოდა მის მიერ გ. მაჭავარიანთან ერთად ქართველურ ენათა დიდ მასალაზე. შედეგი ამ მუშაობისა წარმოდგენილია წინამდებარე შრომაში, რომელიც თავის მნიშვნელოვან ნაწილში ემყარება თეორიას ქართველურ ენათა სონანტების შესახებ.

ამ თეორიის მიხედვით საერთო-ქართველურ ფონოლოგიურ სისტემაში გამოიყოფა ფონემათა სამი კლასი:

<sup>1</sup> Г. А. Климов, *Опыт реконструкции фонемного состава общекартвельского языка-основы*. Известия АН СССР, Отделение литературы и языка, I, 1960, გვ. 22; შმდ; მისივე *Этимологический словарь картвельских языков*, Москва, 1964, გვ. 22; შდრ. აგრეთვე ვ. თოფური, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XII, 1963, გვ. 154.

<sup>2</sup> Václav Polák, *Contributions à la grammaire historique des langues kartvéliennes*. Archiv Orientalní, XXIII, Praha, 1951, 1—2, pp. 77 შმდ.

<sup>3</sup> ახლა ამის შესახებ იხ. აგრეთვე K. H. Schmidt, *Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache*, Wiesbaden, 1962, S. 54 შმდ.

<sup>4</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვევით, გვ. 24.

<sup>5</sup> მხოლოდ ნ. მარმა თავისი საოცარი ინტუიციის წყალობით იგრძნო შესაძლებლობა ოდესღაც ქართულში l, r, n, m სონანტების არსებობისა, რასაც იგი გაკვრით აღნიშნავს თავის ქართული ენის გრამატიკაში (იხ. მისი *Грамматика древнелитературного грузинского языка*, Ленинград, 1925, გვ. 41, აგრეთვე 4);

ასევე გ. მაჭავარიანმა გამოთქვა ვარაუდი მარცვლოვანი ზ და ლ-ს არსებობის შესახებ ისეთს სიტყვებში, როგორიცაა \*წყ ზ თა (ქართ. წყრთა, მეგრ. ჭყითა, სვან. ჭითხ) და \*კ ლ დე (ქართ. კლდე, მეგრ. კირდა||კირდე, სვან. კოჯ).

ა) ხმოვნები, ე. ი. ფონემები, რომლებიც ფუნქციონირებდნენ სინტაგმატურად მხოლოდ როგორც მარცვლოვანი (მარცვლისშემქმნელი) ელემენტები;

ბ) თანხმოვნები, ე. ი. ფონემები, რომლებიც ფუნქციონირებდნენ სინტაგმატურად მხოლოდ როგორც უმარცვლო ელემენტები;

ც) სონანტები, ე. ი. ფონემები, რომლებიც ვლინდებოდნენ პოზიციებისდა მიხედვით მარცვლოვანი და უმარცვლო ელემენტების სახით.

რეკონსტრუირებული საერთო-ქართველური სონანტური კლასი შეიცავდა /\*ჟ \*ჭ \*რ \*ლ \*მ \*ნ/ ფონემებს, რომელთა ალოფონები განისაზღვრება როგორც დამატებითს დისტრიბუციაში მყოფი უმარცვლო [\*ჟ \*ჭ \*რ \*ლ \*მ \*ნ], და შესაბამისი მარცვლოვანი [\*ი \*უ \*ფ \*ღ \*გ \*წ] ელემენტები.

/\*ჟ/ და /\*ჭ/ სონანტების პოზიციური ქცევა ანალოგიური იყო /\*რ \*ლ \*მ \*ნ/ ფონემათა ქცევისა. სიტყვის დასაწყისში ხმოვნის წინ, ორ ხმოვანს შორის, ხმოვანსა და თანხმოვანს შორის და სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში ხმოვნის შემდეგ ისინი უმარცვლო ალოფონების სახით იყვნენ რეალიზებული, ხოლო სიტყვის დასაწყისში თანხმოვნის წინ, ორ თანხმოვანს შორის და სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში თანხმოვნის შემდეგ იგივე ფონემები ვლინდებოდნენ როგორც მარცვლოვანი ელემენტები.

შრომაში დეტალურად არის გაანალიზებული ტრანსფორმაციები, რომლებიც საერთო-ქართველურმა სონანტებმა განიცადეს ქართველურ ენებში მათი განვითარების გვიანდელ საფეხურზე, და ამის საფუძველზე ჩამოყალიბებულია თეორია საერთო-ქართველური სონანტთა სისტემის შესახებ.

სონანტებთან დაკავშირებით ნაშრომში წარმოდგენილია რეკონსტრუქცია საერთო-ქართველური ვოკალური სისტემისა და შესწავლილია ის გარდამქმნები, რომლებიც ამ სისტემამ განიცადა ისტორიულ ქართველურ დიალექტებში.

სონანტთა და ვოკალურ ფონემათა სისტემასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული აბლაუტის მოვლენა.

აბლაუტი ან აპოფონია არის ვოკალურ ფონემათა მორფოლოგიური ფუნქციის მქონე ალტერნაცია, რომელიც ისტორიულად უბრალო ფონოლოგიური ალტერნაციისაგან წარმოდგება. იმის შემდეგ, რაც იგი წარმოიშობა, ალტერნაცია განაგრძობს მის გვერდით არსებობას ცოტად (მაგ., ინდოევროპულ ენებში) თუ ბევრად უფრო ფართო მასშტაბით<sup>1</sup>. ეს გარემოება ერთგვარად აძნელებდა აპოფონიისა და ფონოლოგიური ალტერნაციის გამიჯვნას ერთმანეთისაგან, თუმცა აბლაუტის მოვლენა ცნობილი იყო, ყოველ შემთხვევაში გერმანული ენებისათვის, ჯერ კიდევ ი. გრიმიდან მოყოლებული.

ქართველური აბლაუტი, მსგავსად ინდოევროპულისა, მორფოლოგიური სიჭარბის მოვლენაა, ისე რომ აპოფონიური მონაცვლეობა ა/ე ზმნისა და სახელის ფუძის განსასხვავებლად (მეგრ. ბერგი „თოხი“, მაგრამ ბარგუნს „თოხ-

<sup>1</sup> Jerzy Kuryłowicz, L'Apophonie en sémitique, Wrocław, Warszawa, Kraków. 1961, p. 195.

ნის“; მეგრ. ტყეში „ტყავი“, მაგრამ ტყაბარანს „ატყავებს“; მეგრ. ჭვეთი „წვე-  
-თი“, მაგრამ ჭვათუნს „წვეთავს“ და სხვ.), ან ე/ი მონაცვლეობა ზმნის აწმყოსა  
და ნამყოს ფუძეების საწარმოებლად (ფენ-ს/ფინ-ა)<sup>1</sup> არ არის აუცილებელი,  
რადგან სხვა მორფოლოგიური საშუალებანი (სახელის ბრუნვის ნიშნები, ზმნის  
პირის ნიშნები და სხვა აფიქსები) საკმარისია ამავე დაპირისპირებათა გამოსახა-  
ტავად. ეს კარგად ჩანს ისეთი მაგალითებიდან, როგორიცაა მეგრ. თასი „თეს-  
-ლი“ /თასუნს „თესავს“ ან ქართ. წერ-ს/წერ-ა და სხვ., მსგავსად იმისა, რო-  
-გორც ეს გვაქვს ინდოევროპულში, სადაც მონაცვლეობა *ei>i* სიტყვაში  
\*liktós (<\*leiq<sup>h</sup>) არის ჭარბი ნიშანი, რადგან ისეთი ფორმები, როგორიცაა  
\*pektós (<\*peq<sup>h</sup>), მოწმობენ, რომ -ტნ საკმარისია იმავე კატეგორიის გამო-  
-სახატავად<sup>2</sup>.

აპოფონიური მონაცვლეობა ვოკალური ფონემებისა როგორც საშუალება  
მორფოლოგიურ დაპირისპირებათა გამოხატვისა ქართველურ საენათმეცნი-  
-ერო ლიტერატურაში ბოლო დრომდე არ იყო სათანადოდ შეფასებული,  
თუმცა თვით ფაქტი ამ მონაცვლეობისა დიდი ხანია რაც ცნობილია.

პირველად აბლაუტს ქართულში ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ 1924 წელს  
აკაკი შანიძემ<sup>3</sup>, როდესაც იგი განიხილავდა ისეთს წარმოებებს, როგორიც  
არის გვე-გუვი, ურთი-ერთას, ჭურ-ჭერი, ბალახ-ბულახი და სხვ.

ერთგვარი შორეული მითითება იმაზე, რომ ე/ი მონაცვლეობა ქართულში  
აწმყოსა და ნამყოს ფუძეებში წმინდა ფონეტიკური მოვლენა არ არის, მოგვცა  
G. Deeters-მა, რომელიც ეხება რა ფორმებს, როგორიც არის ვლრექ/  
ვლრიკე, ვკრებ/ვკრიბე, ვწმედ/ვწმიდე და სხვ., აღნიშნავს: «იმ მოსაზრების  
საწინააღმდეგოდ, რომ ეს ხმოვანთმონაცვლეობა წმინდა ფონეტიკურადაა  
შეპირობებული, ლაპარაკობს ის გარემოება, რომ არსებობს მრავალი აწმყოს  
ფუძე, რომლებიც აორისტში ე-ს ინარჩუნებენ: ვსთესე, ვრეკე, ვტეხე,  
ვწერე»<sup>4</sup>.

<sup>1</sup> არსებობა ამ ფორმების (ფენ-ს/ფინ-ა, გრენ-ს/გრინ-ა და სხვ.) გვერდით ისეთი წარ-  
-მოებისა, როგორიცაა ფენ-ს/ი-ფინ-ება, გრენ-ს/ი-გრინ-ება და სხვ., მოწმობს, რომ ე/ი აპოფონი-  
-ური მონაცვლეობა არის ბიფუნქციონალური ხასიათისა და სხვადასხვა პარადიგმატულ  
კლასში აღნიშნავს სხვადასხვა კატეგორიათა: ოპოზიციას (აწმყო—ნამყო, მოქმედებითი—გნე-  
-ბითი), რა თქმა უნდა, მორფოლოგიური სიჭარბის ფარგლებში.

<sup>2</sup> იხ. J. Kuryłowicz, L'Apophonie en indo-européen, Wrocław, 1956; მისივე  
L'Apophonie en sémitique, Wrocław-Warszawa-Kraków, 1961, p. 18.

სულ სხვა ხასიათისაა აპოფონია სემიტურში, ჩვეულებრივ აქ გვაქვს არა მორფემი-  
-სეული აპოფონიური ხმოვანთმონაცვლეობა (ასეთი შემთხვევები, როგორც ეს აჩვენა J. Kury-  
-łowicz-მა თავის ბრწყინვალე გამოკვლევაში, სემიტურშიაც გვხვდება), არამედ ვოკალური  
ფონემების სახით რეალიზებული წყვეტილი აფიქსების სხვადასხვაგვარი განაწილება ძირის  
კონსონანტურ ფონემათა შორის.

ამიტომ სამართლიანად იქცევა K. Petráček-ი (Die innere Flexion in den semi-  
-tischen Sprachen. Archiv Orientalní, 28, 1960, გვ. 576 შმდ.), როდესაც მიჯნავს ერთმანეთი-  
-საგან სემიტურ „შინაგან ფლექსიასა“ და ინდოევროპულ აპოფონიას. შდრ. აგრეთვე И. А. Мелъ-  
-чук-ი (О „внутренней флексии“ в индоевропейских и семитских языках. ВЯ, 4,  
1963, გვ. 26).

<sup>3</sup> ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის. ქართული საენათმეცნიერო საზოგა-  
-დოების წელიწადი, I—II, 1923-1924, გვ. 3 შმდ.

<sup>4</sup> Gerhard Deeters, Das kharthwelische Verbum, Leipzig, 1930, გვ. 106.

მორფოლოგიური დანიშნულების ხმოვანთმონაცვლეობა სვანურსა და მეგრულში პირველად აღნიშნა ვ. თოფურია, რომელმაც გიარკვია, რომ სვანურში II უღვლილებისად მიჩნეული ზმნები აქტივისა და მედიოპასივის ფორმებს ერთურთისაგან ფუძის დრეკადობით ასხვავებენ: პირველს - ი ახასიათებს ფუძეში, ხოლო მეორეს ე (მაგ. ო-ტვზ, ა-ტვზ, ა-ტიზ, ერთი მხრით, და ა-ტუზ, ა-ტვ, ა-ტვზ, მეორე მხრით). ანალოგიური ხასიათისად შიძინია ავტორს აგრეთვე ქართულში ისეთი წარმოება, რომელიც ფუძედრეკად ზმნებს ახასიათებს (დრეკ-ა /დრიკ-ე, დრკ-ებ-ის/დრკება)<sup>1</sup>.

უფრო გვიან იგივე ავტორი აღნიშნავდა, რომ «მეგრულში მორფოლოგიური დანიშნულების ხმოვანთმონაცვლეობა უნდა გვექონდეს საერთო ძირის შქონე მოქმედებით და ვნებით ზმნებსა თუ ნაზმნარ სახელებში, როგორცაა: შქირიტუა „შრეტა“, შქირატუა „შრტომა“. აგრეთვე სვანურში II ჯგუფის ზმნათა აქტიური და პასიური ფორმები გარჩეულია ერთმანეთისაგან აფიქსებთან ერთად ფუძის ფლექსიით: დიგე „აქრობს“, დეგ-ნი „ქრება“; ა-დიგ „გააქრო“, ა-აღვ (ა-დავ) „გაქრა“; კვიშე „ტეხს“, კვეშ-ნი „ტყდება“; ასეა ნაზმნარ სახელებშიც: ლენტ. ლგ-ვიდ „მოტანილი“, მე-გედ-ე „მოსული“ და სხვ. აქ ყველგან ი გვაქვს მოქმედებითის ფორმებში, ხოლო ე—ვნებითებში. ირკვევა, რომ ხმოვანთმონაცვლეობა როგორც მორფოლოგიური პროცესი უცხო არ არის მეგრულ-სვანურისათვის»<sup>2</sup>.

ამავე დროს, ავტორის აზრით, ფუძის ფლექსია, რომელიც უდავოა სვანურსა და მეგრულში, «ქართულში დასამტკიცებელია»<sup>3</sup>.

შემდეგში ვ. თოფურია მიუთითებდა, რომ «რამდენიმე ზმნის მოქმედებითი და ვნებითი ფორმები ქართულში ფუძის ფლექსიითაა გარჩეული ერთიერთისაგან და -ე- სწორედ ვნებითს გვარს უკავშირდება», ხოლო -ა— მოქმედებითს (როგორც, მაგ., ვნებ. ჯელ, \*ცეთ-←\*ცელ-, \*ყევ, ქერ- და მოქმედ. ცად-, ჯად-, ყავ, ქარ- ფუძეებში)»<sup>4</sup>.

ამის საფუძველზე ავტორი დაასკვნის, რომ «ქართული ენაც თავისი განვითარების შემდგომ საფეხურზე ხასიათდება ფუძის ფლექსიით (ფუძის ხმოვანთა ფუნქციონალური მონაცვლეობით; ჯად/ჯელ)»<sup>5</sup>.

ამასთან დაკავშირებით ავტორი მიუთითებს, რომ «ამ მხრივ ქართული და სვანური ერთმანეთს ჰგვანან, მაგრამ ფუძის ფლექსიისა და ზმნის საკითხში მათ შორის თვალსაჩინო განსხვავება იგრძნობა: ფუძის ფლექსია სვანურში მკვეთრად ჩამოყალიბებული მოვლენაა: იგი გვაქვს როგორც პირვანდელს, ორთანხმოვ-

<sup>1</sup> იხ. ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში. თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, X, 1930, გვ. 295 შმდ.

<sup>2</sup> ვ. თოფურია, რ და ნ თანხმოვანთა მონაცვლეობისათვის სვანურ ზმნებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. XVIII, 1941, გვ. 62. მეგრულში აბლაუტური ხმოვანთმონაცვლეობის თანმიმდევრული ანალიზი მოცემული აქვს ტ. გუდავას თავის გამოქვეყნებულ ნაშრომში „ფუძედრეკადი ზმნები მეგრულში“.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 66.

<sup>4</sup> ვ. თოფურია, მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 9, თბილისი, 1942, გვ. 968.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 969.

ნიან ძირებში, ისე ნაწარმოებებშიც...», ხოლო «ქართულში კი ფუნქციონალური მონაცვლეობა ასე მკაფიოდ არ არის გამოხატული: ჯერ ერთი, სულ ოთხი-ზმნაა, სადაც ფუძის ფლექსია ჩანს და მისი მეოხებით განიჩქევან მოქმედებითი და ვნებითი ფორმები; მეორეცაა—და შეინიშნება ხმოვანთა შენაცვლება. მორფოლოგიური დანიშნულების გარეშეც<sup>1</sup>: დაიცავ და დაიცევ...»<sup>2</sup>.

აქედან ავტორი დაასკვნის, რომ «ქართულსაც ფუძის ფლექსია ახასიათებს, მაგრამ სვანურთან შედარებით იგი მეორეული ჩანს; ყოველ შემთხვევაში ქართული ამ მხრივ ძალზე ღარიბია»<sup>3</sup>.

ხმოვანთა მონაცვლეობის მორფოლოგიზაციის მოვლენას ქართველურენებში სპეციალური გამოკვლევა უძღვნა გამოჩენილმა ნორვეგიელმა ენათმეცნიერმა და ქართველოლოგმა H. Vogt-მა. ეხება რა ხმოვანთა ალტერნაციას აორისტის და აწმყოს ფუძეებში ქართულში (ვ-კალ/კლ-ა, ვ-შალ-ე/ვ-შლ-ი და სხვ.), H. Vogt-ი აღნიშნავს: «ყველა ამ შემთხვევაში ხმოვნის სინკოპეს აქვს აბსოლუტური და სავალდებულო ხასიათი; ის არის მორფოლოგიური დამახასიათებელი ნიშანი სხვა ნიშნებთან ერთად ამ ზმნებისათვის და გამოყენებულია გრამატიკული სისტემისათვის მეტად მნიშვნელოვანი პარადიმატული სერიის საწარმოებლად»<sup>4</sup>.

ეხება რა ამ თვალსაზრისით ზმნისა და სახელის ფუძის განსხვავებას, ავტორი მიუთითებს: «მართალია, სინკოპეს მოვლენა ზმნაშიაც ფონეტიკურადაა შეპირობებული: ალტერნაცია შალ-ე / შლ- მხოლოდ ა- ვოკალიზმიან ზმნებშია, ალტერნაცია კალ-/კლ- არსებობს მხოლოდ მარტივ თანხმოვანზე დაბოლოებულ ზმნებში, ე და ა ვოკალიზმიან (გამონაკლისია ქვეც/ქს-), მაგრამ აქ არ შეიძლება წინასწარ იცოდე, დაუშვებს თუ არ დაუშვებს ამ ფონეტიკური პირობების დამაკმაყოფილებელი ძირი ძირეული ხმოვნის სინკოპეს. მალ-, ქარ-, წერ- ზმნების ძირები თავიანთი ფონეტიკური სტრუქტურის მხრივ არ განსხვავდებიან მნიშვნელოვნად კალ-, ჭერ- ზმნებისაგან, რომლებიც ყველანი ფუძეკუმშვადი არიან. ისინი შედიან სხვა მორფოლოგიურ ჯგუფებში, რომლების არსებობა არ შეიძლება აიხსნას სინქრონიული თვალსაზრისით, მაგრამ რომლებიც შენახული არიან ტრადიციითა და თვით სისტემის სტრუქტურით»<sup>5</sup>.

1949 წელს გ. ახვლედიანმა ჩამოაყალიბა აპოფონიის ძირითადი სახეები ქართულში. ეხება რა ვ. თოფურიას მიერ აღნიშნულ ა/ე ხმოვანთმონაცვლეობას მოქმედებითი და ვნებითი გვარების ერთმანეთისაგან განსახვავებლად, ავტორი აღნიშნავს, რომ «ესაა ტიპური აბლაუტი» და რომ «ფონეტიკური პროცესის პრინციპულად ასეთსავე მორფოლოგიზაციასთან გვაქვს საქმე ქართულ ზმნაში, როდესაც მისი ფუძის კუმშვა-უკუმშველობასთან

<sup>1</sup> შდრ. ზემოთ ჩვენი შენიშვნა ალტერნაციისა და აპოფონიის ერთმანეთთან მიმართების შესახებ., გვ. 015.

<sup>2</sup> ვ. თოფურია, ხს. ნაშრ., გვ. 969-970.

<sup>3</sup> ვ. თოფურია, ხს. ნაშრ., გვ. 972.

<sup>4</sup> H. Vogt, Alternances vocaliques en géorgien. Norsk Tidsskrift for Sprogvidenskap, Bind XI, Oslo, 1939, p. 126.

<sup>5</sup> H. Vogt, იქვე, გვ. 132.

და ფუძის დრეკადობასთან დაკავშირებულია აწმყოსა და ნამყო წყვეტილის ერთმანეთისაგან განსხვავება»<sup>1</sup>.

ამის საფუძველზე ავტორი აღგენს აბლაუტის რამდენიმე სახეობას: 1. ნულოვანი და ა-ხმოვნიანი (ან ე-ხმოვნიანი) საფეხური: კ-ლავს — კ-ლა/ვკალ(ი); ხ-ნავს — ხ-ნა/ვხან(ი); ჭ-რის — ჭ-რა/ვჭერ(ი); ც-რის — ც-რა/ვცერ(ი)...; 2. ე/ი — ი კრეფ-ს/კრიფ-ა — ვკრიფე; გრეფ-ს/გრიხა — ვგრიხე...; 3. ო/ა თ-ლის/თალა ვთალე; თხ-რის/თხარა — ვთხარე»<sup>2</sup>.

მასვე აღნიშნული აქვს, რომ «უფრო სუსტად, მაგრამ მაინც გრამატიზირებულია ქართულის სპეციალ მრავალ სახელში ფუძის კუმშვა, რომლის მიხედვითაც განსხვავებულია ერთმანეთისაგან ბრუნვათა ორი ჯგუფი...» და რომ «სახელთა ფუძის კუმშვა-უკუმშველობა ისეთივე ხმოვანთმონაცვლეობაა, როგორიც ზმნაში აღვნიშნეთ. იქაც და აქაც ხმოვანთმონაცვლეობა განპირობებულია მახვილის გავლენით და გამოყენებულია მეტ-ნაკლებად სიტყვის ფორმათა ერთმანეთისაგან განსახვავებლად, ე. ი. იქაც და აქაც ფონეტიკური პროცესი მორფოლოგიზებულია»<sup>3</sup>.

როგორც ვხედავთ, გ. ახვლედიანის მიერ უკვე გარკვევით არის ჩამოყალიბებული ძირითადი სახეები ქართული აბლაუტისა. მანვე სწორად განსაზღვრა აბლაუტის როლი ქართულში<sup>4</sup>.

წინამდებარე ნაშრომში აბლაუტური ხმოვანთმონაცვლეობა პირველად არის წარმოდგენილი როგორც საერთო-ქართველური (პროტო-ქართველური) მოვლენა. აბლაუტი ქართველურ ენათა დიფერენციაციის შემდეგ განვითარებულია კი არ არის მიჩნეული, არამედ განხილულია როგორც ცალკეულ ქართველურ ენებში ასახული მექანიზმი პროტო-ქართველურ აპოფონიურ ხმოვანთმონაცვლეობათა. იგი პოსტულირებულია საერთო-ქართველური ენობრივი დონისათვის (პროტო-ქართველურისათვის). ყველა ქართველური ენის სათანადო მასალის სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე შრომაში მოცემულია დიაქრონიული თეორია საერთო-ქართველური აბლაუტისა. გამოვლენილია აპოფონიის შემთხვევები ქართველურ ენებში მათი განვითარების სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეზე და შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის გზით აღდგენილია აპოფონიური მონაცვლეობის საერთო-ქართველური მექანიზმი, რომელიც ტიპოლოგიურად თითქმის იდენტური აღმოჩნდა ინდოევროპული აბლაუტური ხმოვანთმონაცვლეობისა.

ავტორებმა წარმოადგინეს დებულება, რომ მათ მიერ რეკონსტრუირებული სონანტთა საერთო-ქართველური სისტემა მოქმედებდა სონანტთა მარცვლოვანი და უმარცვლო ვარიანტების სახით აპოფონიურ მექანიზმთან მჭი-

<sup>1</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 298.

<sup>2</sup> გ. ახვლედიანი, ხს. ნაშრ., გვ. 299.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 299-301.

<sup>4</sup> როგორც გ. ახვლედიანი აღნიშნავს, «როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ ამა თუ იმ ფონეტიკურ პროცესს დაუკავშირდა მორფოლოგიური ფუნქცია, ეს არ ნიშნავს, რომ ეს ფუნქცია გამოხატულია მხოლოდ ამით: იმ ენებში, რომლებსაც ჩვენ ვეხებით, ეს ფონეტიკური პროცესი წარმოდგენს მხოლოდ დამატების შინაგან ფლექსიას» (გ. ახვლედიანი, ხს. ნაშრ., გვ. 299).



დრო კავშირში. სონანტთა მარცვლოვანი და უმარცვლო ვარიანტების რეალიზაცია მთლიანად დამოკიდებული იყო ძირისა და სუფიქსის განხმოვანებაზე; განხმოვანების საფეხურები განსაზღვრავდნენ სონანტთა ალოფონურ მონაცვლეობას.

საერთო-ქართველური სონანტთა სისტემისა და აბლაუტური მოდელების ცვლილებათა რელატიური ქრონოლოგიის გათვალისწინებამ საშუალება მისცა ავტორებს აღედგინათ სურათი ისტორიული ქართველური ენების სტრუქტურათა ჩამოყალიბებისა და გაერკვიათ მთელი რიგი მოვლენა, რომელთა თანმიმდევრული ახსნა დღემდე არ ხერხდებოდა ან ახლებური ინტერპრეტაცია მიეცათ აქამდე ცნობილი ფაქტებისათვის. ასე, მაგ., ამ თეორიის თვალსაზრისით მოხსნილია საკითხი ე. წ. „ზანური სრულხმოვნობის“ პირველადობის შესახებ; მეგრულ-ლაზური სრულხმოვანი ფორმები განხილულია როგორც მარცვლოვანი სონანტების (ნულ-საფეხურიან ფორმებში) ვოკალიზაციის შედეგი; ახალი თვალსაზრისია წარმოდგენილი მეგრულ-ლაზური და სვანური ვოკალიზების შესახებ; მიჩნეულია, რომ სვანური გრძელხმოვანი ფორმები თავის ერთ ნაწილში ასახავენ საერთო-ქართველური აბლაუტის ერთ ერთ საფეხურს და სხვ.

სონანტთა სისტემასთან კავშირში აპოფონიური ხმოვანფონონაცვლეობის შესწავლის შედეგად აღდგენილია საერთო-ქართველური ძირისა და აფიქსების ძირითადი სტრუქტურული ტიპები და გამოვლინებულია მათ შორის არსებული სტრუქტურული მიმართებანი.

საბოლოო ანგარიშში საერთო-ქართველური ძირის სტრუქტურის შესახებ მიღებულია დასკვნები, რომლებიც არსებითად განსხვავდება დღემდე არსებული შეხედულებებისაგან ამ საკითხზე.

საერთო-ქართველური ენის განვითარების იმ საფეხურზე, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა სვანურისა და ქართულ-მეგრულ-ლაზურის დიფერენციაციის პროცესს, სიტყვის მორფოლოგიურ სტრუქტურას მორფემათა სამი სახეობა ახასიათებს: პრეფიქსი, ძირი და სუფიქსი.

პრეფიქსულ მორფემას ახასიათებს სტრუქტურა  $C^1V^1$ - და  $V^1$ ; ძირისათვის დამახასიათებელია  $CVC$ -, ხოლო სუფიქსისათვის —  $V^1C^1$ , ყველა შესაძლებელი აპოფონიური მოდიფიკაციით. ყოველი თანხმოვნის ადგილას შეიძლება გვექონდეს სონანტური ფონემა ( $S$ ), ე. ი.  $CVS$ -,  $SVC$ -,  $SVS$ - და  $V^1S$ .

პრეფიქსულ მორფემათა სტრუქტურული მიმართებები ძირეულ მორფემასთან არ რეგულირდება იმავე აპოფონიური წესით, რომლებიც სუფიქსაციისათვის არის დამახასიათებელი, გარდა განსაზღვრული შემთხვევებისა, რომლებიც არ ატარებენ ნორმის ხასიათს.

აპოფონიური ალტერნაციის ჩამოყალიბების შემდეგ ძველი პრეფიქსული სტრუქტურა მხოლოდ ნაწილობრივ ექვემდებარება მორფემათა ურთიერთობის ახალ სტრუქტურულ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ სინტაგმატურ მიმართებებს ძირეულ და სუფიქსურ მორფემებს შორის.

ფუძე შეიძლება იყოს ერთ-, ორ- ან მეტმორფემიანი. ორმორფემიანი ფუძე ორი მდგომარეობით ხასიათდება:

I მდგომარეობაში გვაქვს ძირეული მორფემის ნორმალური საფეხური (ე. ი. ერთი მოკლე ხმოვნით) და სუფიქსური მორფემის ნულოვანი საფეხური გახმოვანებისა: *CVS-C*;

II მდგომარეობას ახასიათებს ძირეული მორფემის ნულოვანი საფეხური და სუფიქსური მორფემის ნორმალური საფეხური გახმოვანებისა: *CS-VC*.

ორივე ეს მდგომარეობა არის ავტონომიური ერთმანეთის მიმართ; ისინი ქმნიან აბლაუტის სხვადასხვა საფეხურებს ენის სინქრონიულად მოქმედ სისტემაში.

ზმნურ ფუძეში გახმოვანების ნორმალურ საფეხურზე მხოლოდ ერთი მორფემა შეიძლება იმყოფებოდეს, რის გამოც I ან II მდგომარეობაში წარმოდგენილ ფუძეზე ნორმალურ-საფეხურიანი სუფიქსის დართვა იწვევს ფუძის ნორმალურ-საფეხურიანი მორფემის შეცვლას ნულოვან საფეხურზე წარმოდგენილი შესაბამისი მორფემით (ალომორფით), ვინაიდან ზმნურ ფორმაში შეუთავსებელია ორი ნორმალურ-საფეხურიანი მორფემის არსებობა.

ამის შესაბამისად გარდაუვალი ზმნის ორმორფემიანი ფუძე აორისტის პირველსა და მეორე პირში I მდგომარეობით არის წარმოდგენილი: /\*დერ-კ/, ხოლო მესამე პირის ფორმაში, სადაც ფუძეს ნორმალურ-საფეხურიანი სუფიქსი ერთვის, ძირეული მორფემის ხმოვნიან /\*დერ-კ/ ვარიანტს ენაცვლება ნულ-საფეხურიანი ალომორფი /\*დრ-კ-ა, \*დრ-კ-ეს/<sup>1</sup>, ისე რომ იგი უპირისპირდება პირველი და მეორე პირის ფორმებს ძირეული მორფემის გახმოვანების საშუალებითაც.

გარდაუვალი ზმნისაგან განსხვავებით ორმორფემიანი გარდამავალი ზმნის ფორმები აპოფონიის სხვა სახეებით ხასიათდება. აწმყოში წარმოდგენილია II მდგომარეობა: *CS-VC* /\*დრ-ეკ/, ძირეული მორფემის ნულოვანი და სუფიქსური მორფემის ნორმალური საფეხურით, რითაც იგი აორისტის პირველსა და მეორე პირში წარმოდგენილი შესაბამისი გარდაუვალი ზმნის ფუძისაგან განსხვავდება: /\*დერ-კ/.

გარდა ამისა, გარდამავალ ზმნასთან აორისტის თემაში II მდგომარეობაში წარმოდგენილ ფუძეზე ხმოვნიანი აფიქსის დართვა იწვევს ნორმალურ-საფეხურიანი *-VC* მორფემის შენაცვლებას არასრულსაფეხურიანი ვარიანტით, რომელიც გამოხატულია მარცვლოვანი სონანტისაგან წარმომდინარე [\*ი] ელემენტით (აპოფონიის რედუცირებული საფეხური: /\*ჟ-დრ-ეკ ~ \*ჟ-დრ-იკ-ე/), რაც ნორმალურ-საფეხურიანი ფორმის \*ე→\*ი გადაბგერებით მიიღება.

იგივე მორფონოლოგიური პრინციპები მოქმედებს ერთმორფემიან ფუძეთა მორფოლოგიურ სისტემაში, მაგრამ აქ, რა თქმა უნდა, შესაძლებლობა აპოფონიური ხმოვანთმონაცვლეობისა უფრო შეზღუდულია (ეს ფუძე არ შეიძლება ორი მდგომარეობით იქნეს დახასიათებული); გარდამავალ ზმნასთან გვაქვს დრეკადობა: ათემატურ აწმყოში—ძირი ნორმალურ საფეხურზე (*CVC/S-*), ე სუფიქსიან აორისტში—ძირი რედუქციის საფეხურზე (*CiC/S-V*); გარდაუვალ ზმნასთან თემატურ აწმყოში—ძირი ნულ-საფეხურზე (*CC/S-VS*), ნულოვან აორისტში—ძირი პირველსა და მეორე პირში ნორმალურ საფეხურზე (*CVC/S-*), მესამე პირში—ნულოვან საფეხურზე (*CC/S-VC*).

<sup>1</sup> მარცვლოვანი სონანტით თანხმოვნებს შორის.

გარდამავალ ზმნათა განსაზღვრულ კლასში ვოკალური ფონემის სივრცის საფუძვლიანი აორისტიკის ჭარბ ნიშნად გვევლინებოდა.

აპოფონია დიდ როლს ასრულებდა საერთო-ქართველურ მორფოლოგიაში, განსაკუთრებით ზმნის სისტემაში. ზმნის უღვლილების ტიპები მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ხმოვანთმონაცვლეობის მოდელების განსხვავებულობაზე.

საერთო-ქართველური აპოფონიის შემოხსენებული წესების მიხედვით იყო აგებული აგრეთვე რთული ნომინალი ფუძეები, თუმცა სახელის ფლექსიასა და დერივაციაში იგი ნაკლებ როლს ასრულებდა, ვიდრე ზმნის სისტემაში.

როგორც შემოთქმულიდან ვხედავთ, საერთო-ქართველური დონისათვის მიღებულია ძირეული და სუფიქსური მორფემებისათვის იმავე ტიპის სტრუქტურული მოდელები და ისეთივე სინტაგმატური მიმართებანი მორფემებს შორის, როგორც აღდგენილია ინდოევროპულისათვის *É. Benveniste*-ის მიერ მის ეპოქალურ გამოკვლევაში *Origines de la formation des noms en indo-européen*.

ქართველური და ინდოევროპული ფონოლოგიური სისტემებისათვის თანაბრად დამახასიათებელია სამი ფონემური კლასი: თ ა ნ ხ მ ო გ ნ ე ბ ი ხ მ ო გ ნ ე ბ ი, ს ო ნ ა ნ ტ ე ბ ი, იდენტური ფონემური ინვენტარით ხმოვანთა და სონანტთა კლასებში:

ხ მ ო გ ნ ე ბ ი; /ე ე ა ა ო ო/;

ს ო ნ ა ნ ტ ე ბ ი; /ა ტ რ ლ მ ნ/ (მარცვლოვანი და უმარცვლო ალოფონებით).

ქართველურშიაც და ინდოევროპულშიაც ძირეული და სუფიქსური მორფემები ძირითადად ერთნაირ პრინციპებზეა აგებული: ძირეული მორფემებისათვის დამახასიათებელია *CVC*-სტრუქტურა, ხოლო სუფიქსურისათვის *-VC*. იდენტურია (ან თითქმის იდენტური) სუფიქსური და ძირეული მორფემების შეერთების წესები. ისინი თანაბრად ექვემდებარებიან აპოფონიური მონაცვლეობის პრინციპებს, რომელთა სახეები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, სრულს პარალელებს პოულობენ საერთო-ქართველურსა და ინდოევროპულში.

ამგვარად მიღებულია უაღრესად საყურადღებო დასკვნები ქართველური და ინდოევროპული ენების სტრუქტურათა ტიპოლოგიური<sup>1</sup> მსგავსების შესახებ<sup>2</sup> ამასთან დაკავშირებით ისმის მთელი რიგი საკითხი შედარებით-ისტორიული ქართველური (და არა მარტო ქართველური — ინდოევროპული, კავკასიური) ენათმეცნიერების წინაშე.

<sup>1</sup> გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აქ ლაპარაკია არა ქართველურ და ინდოევროპულ ენათა შორის გენეტურ ურთიერთობაზე და ამით გამოწვეულ მსგავსებებზე, არამედ სტრუქტურათა შორის არსებულ ტიპოლოგიურ მსგავსებებზე, რაც თავისთავად ქართველურ და ინდოევროპულ ენათა შორის ნათესაობა-არანათესაობის საკითხს არ წყვეტს. ამის შესახებ იხ. აქვე, ქვემოთ.

<sup>2</sup> ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებათა VII საერთაშორისო კონგრესს მოსკოვში 1964 წ. აგვისტოს მოხსენდა ერთ-ერთი ავტორის მიერ (იხ. *Г. Мачавариани, К вопросу об индоевропейско-картвельских (южнокавказских) типологических параллелях*. VII Международный Конгресс Антропологических и Этнографических

